პროგრამის შედეგების შეფასების ფორმა

პროგრამის დასახელება	**პროფესიული განვითარებისა და უმაღლესი განათლების ხელშეწყობა**
პროგრამის კლასიფიკაციის კოდი	**04 02**
პროგრამის განმახორციელებელი	**ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია**
პროგრამის აღწერა და მიზანი (მიღწეული წარმატებები და წარმოქმნილი დაბრკოლებები)	პროგრამის მიზანია ახალგაზრდების პროფესიული განვითარების ხელშეწყობა და ბათუმელ ახალგაზრდებს შორის აკადემიური მოსწრების ამაღლების სტიმულირება. აღნიშნულიდან გამომდინარე, ამ მიზნის მისაღწევად, საანგარიშო პერიოდში განხორციელდა ახალგაზრდების პროფესიული განვითარების ხელშეწყობა, მათი საერთაშორისო პროექტებში მონაწილეობის ხელეშწყობა, ბათუმელი ნიჭიერი და მიზანდასახული ახალგაზრდების სტიმულირების გზით მათი აკადემიური მოსწრების ამაღლება, ასევე განხორციელდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დანერგვის ხელშეწყობა. პროგრამის ფარგლებში: ა) საერთაშორისო პროექტებში მონაწილეობის მიღების მიზნით დაფინანსდა 20 ახალგაზრდა; ბ) სსიპ - ქალაქ ბათუმის N30 საჯარო სკოლაში, ინტეგრირებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დანერგვის მიზნით, განხორციელდა მცირე ინფრასტრუქტურული სამუშაოები, ასევე, პროფესიული განათლების ოთახი აღიჭურვა შესაბამისი საქონლით; გ) ლუკა ასათიანის სახელობის სტიპენდია გაიცა - 140, ხოლო ტბელ აბუსერისძის სახელობის სტიპენდია - 20 წარმატებულ სტუდენტზე;

პროგრამით გათვალისწინებული ქვეპროგრამები და ქვეპროგრამის ფარგლებში არსებული ძირითადი ღონისძიებები	**წლის გეგმა**	**წლის საკასო შესრულება**	**შესრულება პერიოდის (%)**	**შენიშვნა**
პროფესიული განვითარების ხელშეწყობა - 04 02 01	**274,000**	**83,120**	**30%**	
ახალგაზრდების საერთაშორისო პროექტებში მონაწილეობის ხელშეწყობა	51,000	51,000	100%	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის დანერგვის ხელშეწყობა (ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების მცირე ინფრასტრუქტურული სამუშაოების (მშენებლობის/რეაბილიტაციის/აღჭურვის) განხოციელება	223,000	32,120	14%	
სტიპენდია წარმატებული სტუდენტებისათვის - 04 02 02	**170,000**	**170,000**	**100%**	
ლუკა ასათიანის სახელობის სტიპენდია წარმატებული სტუდენტებისათვის	140,000	140,000	100%	
ტბელ აბუსერიძის სახელობის სტიპენდია წარმატებული სტუდენტებისათვის	30,000	30,000	100%	
სულ პროგრამაზე მიმართული და გაწეული ფულადი სახსრები	**444,000**	**253,120**	**57%**	

დაგეგმილი საბოლოო შედეგი		ხელშეწყობილია ბათუმელი ახალგაზრდების პროფესიული განვითარება და წახალისებულია ბათუმელი სტუდენტები	**მიღწეული შედეგი**		ხელშეწყობილია ბათუმელი ახალგაზრდების პროფესიული განვითარება და წახალისებულია ბათუმელი სტუდენტები
№	**დაგეგმილი საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი**		**მიღწეული შედეგის შეფასების ინდიკატორი**		**განმარტება**
	საბაზისო მაჩვენებელი	დაგეგმილი მაჩვენებელი	მიღწეული მაჩვენებელი	ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა)	
სერტიფიცირებული ახალგაზრდების რაოდენობა	15	17	20	-18%	საანგარიშო პერიოდში დაგეგმილი იყო 17 ახალგაზრდის დაფინანსება, კომისიაზე განსახილველად წარმოდგენილი იქნა 20 განაცხადი და არსებული ბიუჯეტის ფარგლებში დაფინანსდა 20 პირი
სტიპენდიანტთა რაოდენობა	110	160	160	0%	
3. (გენდერული, ასეთის არსებობის შემთხვევაში)					

ქვეპროგრამის შედეგების შეფასების ფორმა

პროგრამის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა	პროფესიული განვითარებისა და უმაღლესი განათლების ხელშეწყობა
ქვეპროგრამის დასახელება და კლასიფიკაციის კოდი	პროფესიული განვითარების ხელშეწყობა - 04 02 01
ქვეპროგრამის განმახორციელებელი (ორგანიზაცია/სამსახური)	ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახლაგაზრდობის სამსახური
	ღონისძიების ფარგლებში, იანვარში, კონკურსში მონაწილეობის მიღების მიზნით, განცხადი შემოიტანა ფიზიკურმა პირმა ელენე ბერიძემ. მიმდინარე წლის 13 თებერვალს გაიმართა კომისია და ელენე ბერიძე გამარჯვებულად გამოვლინდა. კონკურსანტი, გაემგზავრა საფრანგეთში, ქალაქ ლიონში, (10.03.2025 – 18.04.2025) ფრანგული ენის შემსაწვლელი ინტენსიური კურსებსა და ტრენინგებში მოანწილეობის მისაღებად. ელენე ბერიძე დაბრუნდა საფრანგეთიდან და წარმოადგინა საგანმანათლებლო ღონისძიებაში მონაწილეობის ამსახველი დოკუმენტები. თებერვალში, კონკურსში მონაწილეობის მიღების მიზნით განაცხადები შემოიტანეს ფიზიკურმა პირებმა: ანა სურმანიძემ, მერაბ დოლიძემ, ლუკა ბაკურიძემ, ლუკა მალაყმაძემ, დავით კახაძემ, ნიკა ბერიძემ, ნიკა დარჩიძემ, მაგდა დანელიამ, თეკლა დარჯანიამ და გუგა მუხაშავრიამ. წარმოდგენილი განცხადები, გარდა, გუგა მუხაშავრიას განაცხადისა (რეგისტრაციის ადგილი - ხელვაჩაური) სრულ შესაბამისობაში იყო ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის 2024 წლის 24 იანვრის №14.142402418 ბრძანებით დამტკიცებული ქვეპროგრამის „პროფესიული განვითარების ხელშეწყობა“, ღონისძიების „ახალგაზრდების საერთაშორისო პროექტებში მონაწილეობის ხელშეწყობა“ ფარგლებში კონკურსის პირობების შესახებ დებულების მოთხოვნებთან. მიმდინარე წლის 14 მარტის კომისიის გადაწყვეტილებით გამარჯვებულად გამოვლინდნენ: ანა სურმანიძე, მერაბ დოლიძე, ლუკა ბაკურიძე, ლუკა მალაყმაძე, დავით კახაძე, ნიკა ბერიძე, ნიკა დარჩიძე, მაგდა დანელია და თეკლა დარჯანია. შერჩეული კონკურსანტებიდან:
	ანა სურმანიძე - 01.04.2025 - 30.09.2025 პერიოდში გაემგზავრება გერმანიის ქალაქ იენში, ფრიდრიხ შილერის სახელობის იენის უნივერსიტეტის სასწავლო პროგრამაში - პოლიტიკური მეცნიერება - ჩასართავად; მერაბ დოლიძე, ლუკა ბაკურიძე, ლუკა მალაყმაძე, დავით კახაძე, ნიკა ბერიძე და ნიკა დარჩიძე - 10.04. 2025 - 17.04. 2025 პერიოდში, იმყოფებოდნენ ბელგიის ქალაქ ბრიუსელში ინგლისური ენის სასწავლო კურსში მონაწილეობის მისღებად, ევროპული სწავლების მეთოდოლოგიების შესასწავლად. ზემოაღნიშნული პირები დაბრუნდნენ ბელგიიდან და წარემოადგინეს საგანმანათლებლო ღონისძიებაში მონაწილეობის ამსახველი დოკუმენტაცია. მაგდა დანელია და თეკლა დარჯანია - იმყოფებოდნენ ბულგარეთში, ქალაქ სოფიაში, სოფიას სამედიცინო უნივერსიტეტში (15.05.2025 - 18.05.2025) და მონაწილეობა მიიღეს - სამედიცინო მეცნიერებათა XXIII კონგრესში (ICMS 2025).
	15 აპრილს გამართული კომისიის გადაწყვეტილებით (ოქმი N3, 15.04.2025წ.) გამარჯვებულად გამოვლინდნენ კონკურსანტები: ნათია თანალიში, ელენე ნიკოლეიშვილი, ნანა ნაგერვაძე, მარიამ ფარცახაშვილი, თეა ვაშაყმაძე. შერჩეული კონკურსანტებიდან: ნათია თანალიში, ნანა ნაგერვაძე, მარიამ ფარცახაშვილი და თეა ვაშაყმაძე (01.05.2025-31.07.2025) გაემგზავრნენ ესპანეთში ქალაქ ბარსელონაში, ევროოდისეის (EURODYSSEY 2025) პროგრამაში მონაწილეობის მისაღებად. რაც შეეხება ელენე ნიკოლეიშვილს ის იმყოფებოდა ბულგარეთში, ქალაქ სოფიაში, სოფიას სამედიცინო უნივერსიტეტში (15.05.2025 - 18.05.2025) სამედიცინო მეცნიერებათა XXIII კონგრესში (ICMS 2025) მონაწილეობის მისაღებად. 8 მაისს გაიმართული კომისიის გადაწყვეტილებით (ოქმი N4, 8.05.2025) გამარჯვებულად გამოვლინდნენ კონკურსანტები: არჩილ ქათამაძე და დიანა მამულაძე. არჩილ ქათამაძე გაემგზავრება იტალიაში, ქალაქ მილანში, (23.09. 2025 - 30.09. 2025) სასწავლო პროგრამა - იტალიური კულტურის, ტრადიციების, ლიდერობის უნარებისა და ეკონომიკის შესწავლის უზრუნველსაყოფად. ხოლო, დიანა მამულაძე გაემგზავრება ამერიკის შეერთებული შტატებში, ქალაქ - ნიუ იორკში, სპეციალიზირლებული მოვლის კლინიკაში (3.11.2025 - 28.11.2025), სტაჟირების გასავლელად.

	11 ივნისს გამართული კომისიის გადაწყვეტილებით (ოქმი N5, 11.06.2025წ.) გამარჯვებულად გამოვლინდა ნინო ზოიძე, ის, ბელგიაში, ქალაქ ბრიუსელში, (18.08. 2025 - 12.11. 2025) იმყოფებოდა პროფესიული გამოცდილების გასაღრმავებლად და ენის კურსების გასავლელად. 16 დეკემბერს გამართული კომისიის გადაწყვეტილებით (ოქმი N6, 16.12.2025წ.) გამარჯვებულად გამოვლიდნენ: საბა იშხნელიძე და ნიკოლოზ კიწმარიშვილი. საბა იშხნელიძე - გაემგზავრება ამერიკაში, ქალაქ ნიუ იორკში (12.01.2026 - 11.03.2026) გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში არაანაზღაურებადი სტაჟირების გასავლელად. ნიკოლოზ კიწმარიშვილი - გაემგზავრება დანიაში, ქალაქ კოლდინგში (23.01.2026- 26.06.2026) საერთაშორისო ბიზნესის აკადემიის ინგლისურენოვანი მარკეტინგის მენეჯმენტის პროგრამის გასავლელად.
ქვეპროგრამებით გათვალისწინებული ღონისძიებების ფარგლებში მიღწეული წარმატებები და წარმოქმნილი დაბრკოლებები	**ასევე, საანგარიშო პერიოდში:** - მაგდა დანელიამ, თეკლა დარჯანიამ და ელენე ნიკოლეიშვილმა წარმოადგინეს ბულგარეთში, სამედიცინო კონგრესში მონაწილეობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია. - ნათია თანალიში, ნანა ნაგერვაძე, მარიამ ფარცახაშვილი და თეა ვაშაყმაძე იმყოფებოდნენ ესპანეთში, ქალაქ ბარსელონაში. ზემოაღნიშნული პირები დაბრუნდნენ ესპანეთიდან და წარმოადგინეს ღონისძიებაში მონაწილეობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია. - არჩილ ქათამაძე - 2025 წლის 23 სექტემბრიდან 30 სექტემბრის ჩათვლით პერიოდში უნდა გამგზავრებულიყო იტალიაში, საგანმანათლებლო ღონისძიებაში მონაწილეობის მისაღებად. არჩილ ქათამაძემ მოგვმართა წერილობით, იმის თაობაზე, რომ სუბიექტური მიზეზების გამო, მომწვევ მხარეს სთხოვა პროექტის ჩატარების თარიღის გადატანა. არჩილ ქათამაძე იმყოფებოდა იტალიაში (12.11.2025 - 19.11.2025) და წარმაოდგინა ღონისძიებაში მონაწილეობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია. ასევე, დიანა მამულაძე დაბრუნდა ამერიკის შეერთებული შტატებიდან, ხოლო, ნინო ზოიძე ბელგიიდან. ნინო ზოიძემ და დიანა მამულაძემ წარმოადგინეს ღონისძიებებში მონაწილეობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია.
	2. ღონისძიება „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის დანერგვის ხელშეწყობა (ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების მცირე ინფრასტრუქტურული სამუშაოების (მშენებლობის/რეაბილიტაციის/აღჭურვის) განხოციელება“. **ღონისძიების ფარგლებში:** 1. 1. ქ. ბათუმის N30 საჯარო სკოლის პროფესიული განათლების ოთახის რეაბილიტაციის სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვაზე გაფორმდა ხელშკრულება და განხორციელდა სარეაბილიტაციო სამუშაოები (მიმწოდებელი - შპს „ნევ სთარი“, ხელშეკრულება N134 19.09.2025; ხელშეკრულოების ფასი - 21287,17 ლარი. მიღება = ჩაბარება გაფორმდა 2025 წლის 23 ოქტომბერს, თანხაზე - 16 491, 55 ლარი); 2. ქ. ბათუმის N30 საჯარო სკოლის პროფესიული განათლების ოთახის აღჭურვის მიზნით გაფორმდა ხელშეკრულებები და მოწოდებული იქნა შემდეგი საქონელი: ა) 3 ცალი დამცავი სათვალე და 2 ცალი ფანარი - №129 ხელშეკრულება 08.09.2025. მიმწოდებელი - შპს „ლიდი“, ხელშეკრულების ფასი - 138 ლარი; ბ) კაბელის ტესტერი და კომპიუტერული ქსელისთვის დასაჯეკი ხელსაწყო მოწოდება - №130 ხელშეკრულება 08.09.2025. მიმწოდებელი - შპს „ლიდი“, ხელშეკრულების ფასი - 1329 ლარი;

	გ) ქიმიის ვირტუალური ლაბორატორია - №133 ხელშეკრულება 24.09.2025. მიმწოდებელი - სსიპ - საქართველოს ტენიკური უნივერსიტეტი, ხელშეკრულების ფასი - 2500 ლარი; დ) 1 ცალი A4 ფორმატის მრავალფუნქციური შავ - თეთრი ლაზერული პრინტერი - №135 ხელშეკრულება 19.09.2025. მიმწოდებელი - შპს „იუ-ჯი-თი". ხელშეკრულების ფასი - 1050 ლარი; ე) უწყვეტი კვების წყარო - №136 ხელშეკრულება 19.09.2025. მიმწოდებელი - შპს „ბედი.ჯი". ხელშეკრულების ფასი - 13280 ლარი; ვ) ხელსაწყოები (სახრახნისი, ქანჩი, კაბელის საფრცქვნელი, მკვნეტარა) - №137 ხელშეკრულება 06.10.2025. მიმწოდებელი - შპს „დავით 2014". სახელშეკრულებლო თანხა - 515 ლარი; ვ) 1 ცალი მულტიმეტრი - №138 ხელშეკრულება 06.10.2025. მიმწოდებელი - შპს ,,ევროტექნოლოგიები". სახელშეკრულებლო თანხა - 250 ლარი; ზ) 3 ცალი (არახაოიანი) საწმენდი ჩვრები - №139 ხელშეკრულება 06.10.2025. მიმწოდებელი - შპს ,,აგროჰაბი". სახელშეკრულებლო თანხა - 65,85 ლარი; თ) 1 ცალი დინამიკი, 3 ცალი ელექტროსტატიკური სამაჯური და 1 ცალი დენის ფილტრი - №140 ხელშკრულება 06.10.2025. მიმწოდებელი - შპს ,,ადელაინი". სახელშეკრულებლო თანხა - 141 ლარი;
	ი) 3 ცალი IP ტელეფონი, 3 ცალი IP კამერა და 1 ცალი NVR - ქსელური ვიდეო ჩამწერი - №141 ხელშკრულება 06.10.2025. მიმწოდებელი - შპს ,,გეპა". სახელშეკრულებლო თანხა - 1177 ლარი; კ) 1 ცალი ანტისტატიკური ხალიჩა - №142 ხელშკრულება 06.10.2025. მიმწოდებელი - შპს ,,ედისონ სთორი". სახელშეკრულებლო თანხა - 228 ლარი; ლ) 3 ცალი კომპიუტერის გამწმენდი საშუალებების ნაკრები, 3 ცალი გარე მყარი დისკი და 1 ცალი მყარი დისკი - №143 ხელშკრულება 06.10.2025. მიმწოდებელი - შპს ,,ადელაინი". სახელშეკრულებლო თანხა - 390 ლარი; მ) 1 ცალი კარადა - №153 ხელშეკრულება 25.11.2025. მიმწოდებელი - შ.პ.ს „ჯიენსი ჯგუფი 24" . სახელშეკრულებლო თანხა - 328 ლარი; ნ) 16 ცალი ორთოპედიული სავარძელი - №160 ხელშეკრულება 08.12.2025. მიმწოდებელი - შ.პ.ს „ვესტლამ". სახელშეკრულებლო თანხა - 3120 ლარი; ო) 10 ცალი მაგიდა - №173 ხელშეკრულება 11.12.2025. მიმწოდებელი - შ.პ.ს „ჯიენსი ჯგუფი 24" . სახელშეკრულებლო თანხა - 3070 ლარი.

ქვეპროგრამის მოსალოდნელი შუალედური შედეგი	**გეგმით გათვალისწინებული მოსალოდნელი შუალედური შედეგი**	**შუალედური შედეგის ფაქტიური მაჩვენებელი**
	ხელწყობილია ბათუმელი ახალგაზრდების პროფესიული ზრდა	ხელწყობილია ბათუმელი ახალგაზრდების პროფესიული ზრდა

დაგეგმილი შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი			**მიღწეული შედეგის შეფასების ინდიკატორი**		**განმარტება**
ინდიკატორის დასახელება	საბაზისო მაჩვენებელი	დაგეგმილი მაჩვენებელი	მიღწეული მაჩვენებელი	ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა)	
სერტიფიცირებულ ახალგაზრდების რაოდენობა	15	17	20	-18%	საანგარიშო პერიოდში დაგეგმილი იყო 17 ახალგაზრდის დაფინანსება, კომისიაზე განსახილველად წარმოდგენილი იქნა 20 განაცხადი და არსებული ბიუჯეტის ფარგლებში დაფინანსდა 20 პირი

ქვეპროგრამაში მონაწილეობის მსურველთა რაოდენობა	30	30	20	33%	ქვეპროგრის მონაწილეთა შერჩევა ხდება კონკურსის წესით. საანგარიშო პერიოდში საკონკურსოდ წარმოდგენილი იქნა მხოლოდ 20 განაცხადი
ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსებული ახალგაზრდების კმაყოფილების მაჩვენებელი	საორიენტაციო მაჩვენებელი - 80%-ზე მეტი	1	100%	0%	-
საბიუჯეტო ორგანიზაციის არგუმენტაცია/დასაბუთება - თუ ასიგნებების დაგეგმილ და ფაქტობრივ მაჩვენებლებს შორის სხვაობა 30%-ზე მეტია	ღონისძიებას „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის დანერგვის ხელშეწყობა (ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების მცირე ინფრასტრუქტურული სამუშაოების (მშენებლობის/რეაბილიტაციის/აღჭურვის) განხოციელება“ითვალისწინებდა სსიპ - ქალაქ ბათუმის N30 საჯარო სკოლაში, ინტეგრირებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დასანერგად, მცირე ინფრასტრუქტურული სამუშაოების განხორციელებას, ასევე პროფესიული განათლების ოთახის აღჭურვას შესაბამისი საქონლით, თანხაზე - 223 000 ლარი. ღონისძიება, საქართველოს მთავრობის 2025 წლის 09 ივლისის N1098 და 30 სექტემბრის N1604 განკარგულებების საფუძელზე, ხორციელდებოდა დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში, საქართველოს რეგიონალური განვითარების სამინისტროს რეკომენდაციების შესაბამისად. პირველ ეტაპზე - ქ. ბათუმის N30 საჯარო სკოლის პროფესიული განათლების ოთახის რეაბილიტაციის სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვაზე გაფორმდა ხელშეკრულება და განხორციელდა სარეაბილიტაციო სამუშაოები (მიმწოდებელი - შპს „ნევ სთარი“, ხელშეკრულება N134 19.09.2025; ხელშეკრულოების ფასი - 21287,17 ლარი. სარეაბილიტაციო სამუშაოების დასრულების შემდეგ, 2025 წლის 23 ოქტომბერს გაფორმდა მიღება - ჩაბარების აქტი, თანხაზე - 16 491, 55 ლარი);				

საბიუჯეტო ორგანიზაციის არგუმენტაცია/დასაბუთება - თუ ასიგნებების დაგეგმილ და ფაქტობრივ მაჩვენებლებს შორის სხვაობა 30%-ზე მეტია	N30 საჯარო სკოლის პროფესიული განათლების ოთახის სხვადასხვა საქონლით აღჭურვას, სამინისტროს რეკომენდაციით, სსიპ - ქალაქ ბათუმის N30 საჯარო სკოლის აღჭურვის მიზნით, ტენდერები გამოცხადდა როგორც უშუალოდ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ, ასევე, რიგი საქონელის შესასყიდად, ერთობლივი ტენდერი გამოცხადდა ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ. ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ ტენდერების გამოცხადება რიგი მიზეზების გამო გაჭიანურდა. შესაბამისად, 2025 წელს, სსიპ - ქალაქ ბათუმის N30 საჯარო სკოლის პროფესიული განათლების ოთახის სრულად აღჭურვა ვერ განხორციელდა, შეძენილი იქნა საქონლის ნაწილი, თანხაზე 15 628.80 ლარი. ჯამში, ღონისძიების ფარგლებში გახარჯულია 32 120,35 ლარი.საგულისხმოა, რომ „ზოგიერთი მუნიციპალიტეტისათვის უფლებამოსილების ხელშეკრულების საფუძველზე დელეგირების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2025 წლის 30 სექტემბრის N1604 განკარგულებაში 2025 წლის 28 ოქტომბერს განხორციელდა ცვლილება, რომლის მიხედვით, მუნიციპალიტეტებს მიენიჭათ უფლებამოსილება - მუნიციპალიტეტებისათვის გადარიცხული თანხიდან დარჩენილი ეკონომია/ფინანსური რესურსი მიმართონ 30 სექტემბრის N1604 განკარგულებით გათვალისწინებული დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში ღონისძიებების განსახორციელებლად. აღნიშნულიდან გამომდინარე, იგეგმება სსიპ - ქალაქ ბათუმის N30 საჯარო სკოლის პროფესიული განათლების ოთახის აღსაჭურვად დარჩენილი საქონლის (მათ შორის: კომპიუტერები, სმარტ - დაფა და სხვა) შეძენის მიზნით, 2026 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ქვეპროგრამაში „პროფესიული განვითარების ხელშეწყობა“ (ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი: 04 02 01) ცვლილების შეტანა. კერძოდ, ქვეპროგრამას უნდა დაემატოს ღონისძიება „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის დანერგვის ხელშეწყობა (ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების მცირე ინფრასტრუქტურული სამუშაოების (მშენებლობის /რეაბილიტაციის/აღჭურვის) განხოციელება“. თანხაზე - 190 879,65 ლარი.

ქვეპროგრამის შედეგების შეფასების ფორმა

პროგრამის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა	**პროფესიული განვითარებისა და უმაღლესი განათლების ხელშეწყობა**				
ქვეპროგრამის დასახელება და კლასიფიკაციის კოდი	**სტიპენდია წარმატებული სტუდენტებისათვის - 04 02 02**				
ქვეპროგრამის განმახორციელებელი (ორგანიზაცია/სამსახური)	**ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახლაგაზრდობის სამსახური**				
ქვეპროგრამებით გათვალისწინებული ღონისძიებების ფარგლებში მიღწეული წარმატებები და წარმოქმნილი დაბრკოლებები	საანგარიშო პერიოდში: 1. გამოიცა ღონისძიების ,,ლუკა ასათიანის სახელობის სტიპენდია წარმატებული სტუდენტებისათვის" დებულება. ღონისძიების ფარგლებში განაცხადების მიღება მიმდინარეობდა ორ ეტაპად. ა) პირველი ეტაპზე განცხადებების მიღება მიმდინარეობდა 2025 წლის მარტის თვეში. სულ შემოვიდა 153 განაცხადი, რომელთაგან 18 არ აკმაყოფილებდა ქვეპროგრამით დადგენილ მოთხოვნებს. 135 სტუდენტიდან, ქვეპროგრამის შესაბამისად, სტიპენდია გაიცა 2024-2025 სასწავლო წლის საშემოდგომო სემესტრის შედეგების მიხედვით საუკეთესო შედეგების მქონე 70 სტუდენტზე. ამათგან 50 სტუდენტზე, რომლებიც სწავლობენ პრიორიტეტულ მიმართულებებზე და 20 სტუდენტზე, რომლებიც სწავლობენ არაპრიორიტეტულ მიმართულებებზე. ბ) 2024-2025 სასწავლო წლის საგაზაფხულო სემესტრის ფარგლებში განაცხადების მიღება მიმდინარეობდა 2025 წლის 1 ოქტომბრიდან 31 ოქტომბრის ჩათვლით. აღნიშნულ პერიოდში, ქვეპროგრამის ფარგლებში სულ განსახილველად შემოვიდა 77 სტუდენტის განაცხადი, რომელთაგან 7 არ აკმაყოფილებდა ქვეპროგრამით დადგენილ მოთხოვნებს. სტიპენდია გაიცა 70 სტუდენტზე, ამათგან 38 სტუდენტზე, რომლებც სწავლობენ პრიორიტეტულ მიმართულებებზე და 32 სტუდენტზე, რომლებიც სწავლობენ არაპრიორიტეტულ მიმართულებებზე.				
	2. გამოიცა ღონისძიების ,,ტბელ აბუსერიძის სახელობის სტიპენდია წარმატებული სტუდენტებისათვის" დებულება. ღონისძიების ფარგლებში განაცხადების მიღება მიმდინარეობდა ორ ეტაპად. ა) პირველი ეტაპზე განცხადებების მიღება მიმდინარეობდ 2025 წლის მარტის თვეში. ღონისძიების ფარგლებში სულ შემოვიდა 16 განაცხადი. ქვეპროგრამის შესაბამისად, სტიპენდია გაიცა 2024-2025 სასწავლო წლის საშემოდგომო სემესტრის შედეგების მიხედვით საუკეთესო შედეგების მქონე 10 სტუდენტზე, რომლებიც სწავლობენ საზღვარგარეთის ქვეყნების უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში. ბ) მეორე ეტაპზე განაცხადების მიღება მიმდინარეობდა 2025 წლის 1 ოქტომბრიდან 31 ოქტომბრის ჩათვლით. აღნიშნულ პერიოდში, ქვეპროგრამის ფარგლებში სულ განსახილველად შემოვიდა 15 სტუდენტის განაცხადი. სტიპენდია გაიცა 2024-2025 სასწავლო წლის საგაზაფხულო სემესტრის შედეგების მიხედვით საუკეთესო შედეგების მქონე 10 სტუდენტზე.				
ქვეპროგრამის მოსალოდნელი შუალედური შედეგი	**გეგმით გათვალისწინებული მოსალოდნელი შუალედური შედეგი**		**შუალედური შედეგის ფაქტიური მაჩვენებელი**		
	წახალისებულია ბათუმელი სტუდენტები		წახალისებულია ბათუმელი სტუდენტები		

დაგეგმილი შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი			**მიღწეული შედეგის შეფასების ინდიკატორი**		**განმარტება**
ინდიკატორის დასახელება	საბაზისო მაჩვენებელი	დაგეგმილი მაჩვენებელი	მიღწეული მაჩვენებელი	ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა)	

სტიპენდიანტთა რაოდენობა	120	160	160	0%	
კონკურსში მონაწილეობის მისაღებად წარმოდგენილი განაცხადების რაოდენობა	220	320	261	18%	ქვეპროგრის მონაწილეთა შერჩევა ხდება კონკურსის წესით. საანგარიშო პერიოდში საკონკურსოდ წარმოდგენილი იქნა მხოლოდ 261 განაცხადი
კონკურში მონაწილე სტუდენტთა კმაყოფილების მაჩვენებელი	საორიენტაციო მაჩვენებელი - 70%-ზე მეტი	საორიენტაციო მაჩვენებელი - 75%-ზე მეტი	80%	0%	
საბიუჯეტო ორგანიზაციის არგუმენტაცია/დასაბუთება - თუ ასიგნებების დაგეგმილ და ფაქტობრივ მაჩვენებლებს შორის სხვაობა 30%-ზე მეტია					